სანდრო ტაბატაძე •

ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან: ბიბლიოგრაფიული ანალიზი

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია სამეცნიერო ჟურნალში „ქართული პარლამენტარიზმი“ გამოქვეყნებული სტატიების მიმოხილვა და თემატური პრიორიტეტების შესწავლა. მსგავსი ტიპის მიმოხილვითი ნაშრომები მნიშვნელოვანია, რადგან ის ქვედარგში არსებულ აკადემიურ ლიტერატურას აჯამებს და შემდგომი ბიბლიოგრაფიული ანალიზისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

შესავალი

ქართული პოლიტიკის მეცნიერება რამდენიმე ათწლეულს ითვლის. ამდენად, ბუნებრივია, რომ ამ მიმართულებით არსებულ ქვედარგებს (შედარებითი პოლიტიკა, პოლიტიკური თეორია, პოლიტიკური კომუნიკაცია, საჯარო პოლიტიკა და სხვა) შედარებით ნაკლები გამოცდილება აქვთ. ამ თვალსაზრისით, როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე პრაქტიკული განზომილებები იგულისხმება. ზოგადად, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ქართული პოლიტიკის მეცნიერებაში დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალები თითქმის არ გვხვდება. ეს კი, თავისთავად ხელს უშლის ქართულ ენაზე აკადემიური ლიტერატურის შექმნას, გამდიდრებასა და სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბებას.

მიუხედავად სამეცნიერო ჟურნალების სიმცირისა, აღსანიშნავია ჟურნალი „პოლიტიკა“ და „ქართული პარლამენტარიზმი“. პირველი მათგანი დარგში არსებულ ყველა მიმართულებას აერთიანებს

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

და წელიწადში ექვსს ნომერს მოიცავს. ხოლო, ქართული პარლამენტარიზმი უშუალოდ საკანონმდებლო ხელისუფლების შექმნის, მუშაობისა და პოლიტიკური ტრადიციის შესწავლაზეა ფოკუსირებული. 2019 წლიდან დღემდე ის წელიწადში ორჯერ გამოდის და მიუხედავად ვიწრო ფოკუსისა, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები პარლამენტარიზმის ფენომენის სხვადასხვა ასპექტს შეისწავლის.

მოცემული ნაშრომის მიზანია სამეცნიერო ჟურნალში „ქართული პარლამენტარიზმი“ გამოქვეყნებული სტატიების მიმოხილვა და თემატური პრიორიტეტების შესწავლა. ზოგადად, მსგავსი ტიპის მიმოხილვითი სტატიები ჩვენ რეალობაში იშვიათია და ამის მხოლოდ რამდენიმე მაგალითი არსებობს (ტაბატაძე, 2022).

საკვანძო სიტყვების სიხშირული ანალიზი

მოცემული კვლევის ფარგლებში ჟურნალში „ქართული პარლამენტარიზმი“ 2019 წლიდან 2022 წლის ჩათვლით გამოქვეყნებული 18 სამეცნიერო სტატია იქნა შესწავლილი. იმისათვის, რათა სტატიების ტიპოლოგია შევძლოთ, თავდაპირველად, მნიშვნელოვანია საკვანძო სიტყვების სიხშირის ტენდენციების ჩვენება. თითოეული სამეცნიერო სტატიიდან ამოვიწერეთ საკვანძო ცნებები. შედეგი კი ასე გამოიყურება:

- საქართველოს დამფუძნებელი კრება - 14
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - 8
- საქართველოს კონსტიტუცია - 7
- პოლიტიკური პარტია - 4.

დანარჩენი ცნებები თითოჯერაა გამოყენებული. მათ შორისაა: არჩევნები, ოპოზიცია, ფრაქცია, დეპუტატი, საბჭოთა რეპრესია, ბოლშევიზმი, რუსეთი, ავტონომია, ეროვნული უმცირესობები, პოლიტიკური ემიგრაცია, მეხსიერების პოლიტიკა, ქალები დამფუძნებელ კრებაში.

როგორც ვხედავთ, თითოჯერ გამოყენებული საკვანძო სიტყვები ასახავს კონკრეტული სამეცნიერო სტატიის კვლევის ძირი-

თად ფოკუსს, ხოლო წინამდებარე ოთხი ცნება უკვე გარკვეული ტენდენციის მაჩვენებელია. მართლაც, მიმოხილული 18 სტატიიდან უდიდეს უმრავლესობაში, საკვანძო ცნებად გამოყენებულია საქართველოს დამფუძნებელი კრება. ეს მიანიშნებს, რომ ამ ჟურნალის ერთ-ერთ უმთავრეს თემატურ პრიორიტეტს სწორედ დამფუძნებელი კრების ირგვლივ არსებული ცოდნის გენერირება წარმოადგენს. საკმაოდ ხშირად გამოყენებული საკვანძო ცნებებია: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და კონსტიტუცია, რაც ბუნებრივია, რადგან სტატიების უდიდესი ნაწილის კვლევის ფოკუსი სწორედ საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთს ეხება. ვინაიდან დამფუძნებელი კრება სტატიების უმრავლესობის საკვანძო ცნებაა, არაა გასაკვირი, რომ პოლიტიკური პარტიები, როგორც მისი მთავარი შემადგენელი სუბიექტებიც, საკვანძო სიტყვებად არცთუ იშვიათადაა გამოყენებული.

სტატიების ტიპოლოგია და თემატური პრიორიტეტები

შესწავლილი 18 სტატიიდან შესაძლებელია, ხუთი ძირითადი თემატური პრიორიტეტის გამოყოფა და ნაშრომები სწორედ ამ ლოგიკით მიმოხილვა.

- დამფუძნებელი კრების დაარსება და ჩამოყალიბება;
- გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლობა დამფუძნებელ კრებაში;
- დამფუძნებელი კრების პოზიციები გარკვეული თემების მიმართ;
- დამფუძნებელი კრება და საქართველოს კონსტიტუცია;
- დამფუძნებელი კრების ბოლო გადაწყვეტილებები და მისი ბედი.

როგორც ტიპოლოგიიდან ვხედავთ, თემატური პრიორიტეტების ცენტრალურ საყრდენს საქართველოს დამფუძნებელი კრება წარმოადენს. ამ თვალსაზრისით, ის ხუთ ძირითად საკითხთანაა გადაფარული: დაარსება, ჯგუფების წარმომადგენლობითობა; პო-

ზიციები; კონსტიტუცია და ბოლო გადაწყვეტილებები. ტიპოლოგიის ამგვარად ჩამოყალიბების მიზეზი, ქართული პარლამენტარიზმის ტრადიციის გარკვეული ევოლუციური ხაზის ჩვენებაცაა.

დამფუძნებელი კრების დაარსება და ჩამოყალიბება

ამ მიმართულებით ორი ნაშრომის გამოყოფაა შესაძლებელი. პირველი, პაატა სურგულაძის (2020) სტატია ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის დაბადებას. ნაშრომში განხილულია რუსეთის იმპერიაში 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შედეგად შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და იმდროინდელი პოლიტიკური პარტიების პოზიციები. გარდა ამისა, სტატიაში გაანალიზებულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. სურგულაძის (2020) მტკიცებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობას უკავშირდება. მეორე - ოთარ ჯანელიძის (2019) სტატიაში შესწავლილია საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება და არჩევნების პროცესში გამოკვეთილი დარღვევები. ავტორის ხედვით, იმდროინდელი პოლიტიკური სპექტრი თანხმდებოდა, რომ დემოკრატიული და სახალხო არჩევნები ხელისუფლების ლეგიტიმაციის უალტერნატივო საშუალება იყო. სტატიაში განხილულია დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებული პერიპეტიები, მათ შორის არჩევნების დღე და აბსენტიზმის დაბალი დონის შესაძლო ამხსნელი ფაქტორები. ავტორის ხედვით, საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით, რამდენიმე მიგნების ჩამოყალიბებაა შესაძლებელი. პირველი, ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში, რაც, როგორც მატერიალური, ისე ძალადობრივი გზებით გამოიხატებოდა. მეორე, ოპოზიციური პარტიების პრესა აქტიურად აშუქებდა სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების პროპაგანდისტთა მხრიდან დარღვევის შესაძლო ფაქტებს (ჯანელიძე, 2019).

გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლობა დამფუძნებელ კრებაში

ამ მიმართულებით სამი ნაშრომის გამოყოფაა შესაძლებელი: ეროვნული უმცირესობების, ქალებისა და ფრაქციების წარმომადგენლობითობის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში.

მალხაზ მაცაბერიძისა და თამარ ორჯონიკიძის (2019) სტატიაში საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების დოკუმენტაციისა და კრების სტენოგრაფიული ანგარიშების შესწავლის, მაშინდელი პრესისა და საარქივო დოკუმენტების შესწავლის შედეგად ჩამოყალიბებულია ეროვნული უმცირესობების საქმიანობა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში. სტატიის ავტორთა შეფასებით, მაშინდელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო ეროვნულ უმცირესობებს საკმაოდ დიდ უფლებებს ანიჭებდა და მათ ინტეგრაციასაც ცდილობდა. ასევე, მათი ხედვით, უმცირესობების მაქსიმალური წარმომადგენლობითობა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამსახურებაა (მაცაბერიძე & ორჯონიკიძე, 2019).

ოთარ ჯანელიძის სტატია (2022) საქართველოს დამფუძნებელ კრებაში საპარლამენტო ოპოზიციური ფრაქციების შესახებ მიმოიხილავს სოციალისტ-ფედერალისტების, სოციალისტ-რევოლუციონერებისა და ეროვნულ-დემოკრატების საპარლამენტო ფრაქციების მოღვაწეობას და მათ ურთიერთობებს სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებასთან. სტატია ფოკუსირებულია ჩამოთვლილი ოპოზიციური ფრაქციების საგარეოპოლიტიკურ, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების შესწავლაზე. მოცემული ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიგნება ისაა, რომ ოპოზიციური ფრაქციები მეტწილად კმაყოფილებოდნენ ხელისუფლების გარკვეულ დარღვევებზე რეაგირებითა და მათი კრიტიკით (ჯანელიძე, 2022). ასევე, ისინი ნაკლებად განიხილავდნენ თავს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების რეალურ და სრულყოფილ ალტერნატივად. ჯანელიძის მტკიცებით, კონსტიტუ-

ციის შემუშავება და დამტკიცება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ (ჯანელიძე, 2022).

გარდა ამისა, თამარ ორჯონიკიძის (2020) სტატია საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ქალთა მონაწილეობას ეხება. მისი შეფასებით, ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულნი კრების მუშაობის პროცესში. ავტორი აღნიშნავს, რომ დეპუტატობის 600 კანდიდატიდან 26 იყო ქალი, საიდანაც ჯამში კრებაში 5 ქალი მოხვდა. სტატიაში ასევე მოხმობილია ხუთივე დეპუტატი ქალის ბიოგრაფია.

დამფუძნებელი კრების პოზიციები გარკვეული თემების მიმართ

ამ მიმართულებით ყველაზე მეტი, 8 ნაშრომის გამოყოფაა შესაძლებელი. ისინი დაყოფილია პირობითად ორ ნაწილად: კრების პოზიციები საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართ. საგარეოპოლიტიკური მიმართულებით აღსანიშნავია: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, პარიზის სამშვიდობო კონფერენციისა და ბრიტანეთის სავაჭრო ბანკისგან სესხის აღების საკითხები.

მალხაზ მაცაბერიძისა და ოთარ ჯანელიძის (2019) სტატია ეხება საქართველოს დამფუძნებელი კრების დამოკიდებულებას რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წლის აპრილი-მაისში მიმდინარე მოვლენებისადმი. ავტორებს განხილული აქვთ იმდროინდელი ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი, მათ შორის აზერბაიჯანის ტერიტორიიდან წითელი არმიის შენაერთების შემოჭრა და მათი მოგერიება. სტატიაში გაანალიზებულია 1920 წლის საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის არსებული სამშვიდობო ხელშეკრულების პოლიტიკური ეფექტები, ასევე დამფუძნებელი კრების წარმომადგენელთა პოზიციები ბოლშევიზმისა და მისგან მომავალი საფრთხეების შესახებ (მაცაბერიძე & ჯანელიძე, 2019).

პაატა სურგულაძის (2022) სტატია საქართველოს დამფუძნებელი კრებასა და პარიზის სამშვიდობო კონფერენციას ეხება. ავტო-

რის შეფასებით, კრების მთავარ მიზანი პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ცნობის საკითხი იყო. ამ თვალსაზრისით კი, 1919 წლის პარიზის კონფერენციას უდიდესი როლი ჰქონდა. სურგულაძე (2022) სტატიაში მიმოიხილავს პარიზის კონფერენციაზე ქართული დელეგაციის შემადგენლობასა და მისი დამტკიცების პროცედურებს. სტატიაში დასახელებულია ის გეგმები და დირექტივები, რაც, დამფუძნებელ კრებას პარიზის კონფერენციასთან დაკავშირებით ჰქონდა. ავტორის მსჯელობით, მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაზე ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, არ მიღებულა, მოცემული დელეგაცია აკმაყოფილებდა საპარლამენტო დელეგაციის ყველა მახასიათებელს (სურგულაძე, 2022).

რაც შეეხება ირაკლი იაკობაშვილის (2020) სტატიას, ავტორი განიხილავს საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ბრიტანეთის სავაჭრო ბანკისგან სესხის აღების საკითხს. ავტორი მიმოიხილავს კონსტანტინე კანდელაკის ნაშრომს, რომელსაც დეტალური ანალიზი აქვს ჩატარებული ბრიტანული სავაჭრო ბანკის სესხის მოცულობისა და მისი სავარაუდო ეფექტების შესახებ. მისი შეფასებით, მოცემული ხელშეკრულება კრების პრეზიდიუმსა და დარგობრივ კომისიებში მოწონებული იყო (იაკობაშვილი, 2020).

საშინაო პოლიტიკის მიმართულებით, წარმოდგენილი ნაშრომები მრავალფეროვანია და მოიცავს: სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისთან, ბათუმის ოლქში მიმდინარე პროცესებთან და აფხაზეთის თემასთან დამფუძნებელი კრების პოზიციებს; ასევე, მოხელეობასთან და უქმე დღეებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ირაკლი მანველიძისა და გიგა ფარტენაძის (2022) სტატია ეხება საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის ურთიერთობებს, მათ ხასიათსა და შინაარსს. მათი კვლევა ეფუძნება საარქივო დოკუმენტებისა და იმდროინდელი პრესის შესწავლას. სამეცნიერო სტატიაში რამდენიმე მიგნებაა ჩამოყალიბებული, მათ შორისაა დამფუძნებელი კრებისა და სამუს-

ლიმანო საქართველოს მეჯლისის ურთიერთობის განმაპირობებელი ფაქტორები. კერძოდ, 1917-1921 წლებში საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესები და რეგიონის სამართლებრივი და პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხი. მანველიძისა და ფარტენაძის მტკიცებით, 1920 წლიდან, როცა საქართველოს იურისდიქცია ბათუმის ოლქზე აღდგა, დამფუძნებელი კრებისა და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის ურთიერთობები დაიძაბა (მანველიძე & ფარტენაძე, 2022).

ოთარ გოგოლიშვილის (2022) სტატია შეეხება საქართველოს დამფუძნებელი კრების ბათუმის ოლქში მიმდინარე საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესების შესახებ არსებულ გამოხმაურებებს. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არქივისა და ქართველოლოგიის განყოფილებაში დაცული მასალების მოპოვებისა და შესწავლის შედეგად, ავტორმა რამდენიმე ძირითადი მიგნება ჩამოაყალიბა. პირველი, დამფუძნებელი კრების საწყის სხდომებზე ზოგიერთი დეპუტატი ცალსახად მიანიშნებდა, რომ საქართველოს განაპირა ტერიტორიებზე გარკვეული ძალები რესპუბლიკის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი და მის დამხობას ცდილობდნენ. მეორე, კრებაზე აქტიურად განიხილებოდა საერობო თვითმმართველობის დაფუძნება, რითიც ეროვნული უმცირესობების უფლებები იქნება უზრუნველყოფილი. მესამე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებულ მძიმე ვითარებას ხელისუფლებას და მის პოლიტიკას აბრალებდა (გოგოლიშვილი, 2022).

ოთარ ჯანელიძის (2020) სტატიაში განხილულია აფაზეთის საკითხი საქართველოს დამფუძნებელ კრებაში. ავტორის შეფასებით, კრება აფხაზეთს საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად განიხილავდა, თუმცა, ამავდროულად აღიარებდა მის შინაგან ავტონომიას. ჯანელიძის შეფასებით, აფხაზეთის საკითხი რამდენჯერმე იყო დამფუძნებელი კრების განხილვის საგანი. მათ შორის კი, აღსანიშნავია ეროვნულ-დემოკრატიული ოპოზიციის სა-

პარლამენტო შეკითხვები, რეგიონის დაფინანსება და სხვა. ამასთან, 1921 წლის კონსტიტუციით გარანტირებული იყო აფხაზეთის ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის მინიჭება (ჯანელიძე, 2020).

მალხაზ მაცაბერიძის (2022ა) სტატიაში ახალი მეხსიერების პოლიტიკის ფორმირების შუქზე განხილულია საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის ივნისში გამართული დებატები უქმე დღეების შემცირების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სტატიაში ცალცალკეა გაანალიზებული საეკლესიო და სამოქალაქო უქმე დღეების გაუქმების ირგვლივ არსებული პოზიციები და საბოლოო შედეგები. მაცაბერიძის (2022ა) მტკიცებით, საეკლესიო უქმე დღეებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო, რადგან ზოგიერთი დეპუტატი მიიჩნევდა, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე ეკლესიასთან კონსულტაციები იყო საჭირო, რაც, სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების უმრავლესობამ უარყო. ავტორის ხედვით, ამ დებატებზე კარგად გამოვლინდა იმდროინდელი მთავრობის მემარცხენე ბუნება (მაცაბერიძე, 2022ა).

ნათია ზედგინიძის (2022) სტატია ეხება დამფუძნებელი კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობას, რაც 1919 წლის 29 მარტის სხდომაზე განიხილებოდა. ავტორს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის გზად სტენოგრაფიული ჩანაწერები და ოფიციალურ დოკუმენტთა ანალიზი აქვს შერჩეული. მისი შეფასებით, ვინაიდან ამ პერიოდში საპარლამენტო და საარჩევნო პოლიტიკური პროცესის შესახებ ეთიკის კოდექსი არ არსებობდა, დებატებში ორი ძირითადი მხარე გამოიკვეთა. სტატიაში განხილულია დეკრეტის მომხრე და მოწინააღმდეგე მხარეების ძირითადი არგუმენტები და შეფასებულია მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დამფუძნებელი კრების წევრის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩვეულებრივ დადგებოდა, თუ ის დანაშაულს კრების გარეთ ჩაიდენდა (ზედგინიძე, 2022).

დამფუძნებელი კრება და საქართველოს კონსტიტუცია

ამ მიმართულებით აღსანიშნავია, მალხაზ მაცაბერიძის (2020) სტატია. ის ეხება 1921 წლის კონსტიტუციაში მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების განსაზღვრას. კერძოდ, სტატიაში გაანალიზებულია დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიისა და პარტიების განსხვავებული მიდგომები. ავტორის მტკიცებით, გაიმარჯვა ჟორდანიას იმ პოზიციამ, რომლის მიხედვითაც მთავრობის თავმჯდომარეს პრეზიდენტის ზოგიერთი უფლებამოსილება ენიჭებოდა. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება 1921 წლის კონსტიტუციაშიც არის ასახული (მაცაბერიძე, 2020).

ასევე, მალხაზ მაცაბერიძის (2021ა) მეორე სტატიაში განხილულია 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში დეკლარირებული პრინციპებისა და პრიორიტეტების 1921 წლის კონსტიტუციაში რეალიზების საკითხი. ამ მიზნით, შესწავლილია საქართველოს დამფუძნებელ კრებასა და საკონსტიტუციო კომისიაში მიმდინარე დებატები. ავტორის შეფასებით, დამოუკიდებლობის აქტში წარმოდგენილი პრინციპები რეალიზდა კონსტიტუციაში და განსაკუთრებული ყურადღება მოქალაქეთა უფლებების დაცვას დაეთმო. ასევე, მისი დაკვირვებით, კონსტიტუციაში არ შეუტანიათ მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის მქონე ნეიტრალიტეტისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ არსებული დებულებები (მაცაბერიძე, 2021ა).

ავტორის მეორე სტატია (2021ბ) ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში 1921 წლის შეფასების საკითხს ეხება. ავტორს ნაშრომში განხილული აქვს კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მისი დაჩქარება, მისი დე-ფაქტო და დე-იურე მოქმედების არეალი და დრო. ასევე, საბჭოტა ხელისუფლების მიერ მისი იგნორირება და საბჭოური კონსტიტუციის კონტრასტი 1921 წლის ქართულ კონსტიტუციასთან (მაცაბერიძე, 2021ბ).

ნათია ზედგინიძის (2020) სტატიაში კი, საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების, ოფიციალური დოკუმენტებისა და პრესის ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულია საპარლამენტო ეთიკის კოდექსის შემუშავების საწყისების ირგვლივ არსებული მიგნებები. ავტორის შეფასებით, მიუხედავად უნიფიცირებული და კოდიფიცირებული ეთიკის კოდექსის არარსებობისა, გარკვეული ეთიკური ასპექტები კრების რეგლამენტით იყო გათვალისწინებული. მათ შორის აღსანიშნავია: წევრთა შეუვალობა, დებატების ეთიკა და მოხელეობასთან შეუთავსებლობა (ზედგენიძე, 2020).

დამფუძნებელი კრების ბოლო გადაწყვეტილებები და მისი ბედი

ამ თემატურ მიმართულებაში ორი ნაშრომია აღსანიშნავი. პირველი, მალხაზ მაცაბერიძის (2022ბ) სტატიაში განხილულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის უკანასკნელი სხდომები ბათუმში, კერძოდ 1921 წლის 15 და 17 მარტის სხდომები. აღსანიშნავია, რომ მოცემული საკითხის შესწავლა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, სტენოგრაფიული ანგარიშების არარსებობის გამო. ამდენად, კვლევის მეთოდად დოკუმენტების, კერძოდ კი, მოგონებების, ანალიზია შერჩეული. სტატიის ერთ-ერთი მთავარი მიგნება ისაა, რომ ამ სხდომებზე არ შეჩერებულა 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედება, რაც, საბჭოთა პერიოდში საკმაოდ გავრცელებულ მოსაზრებას წარმოადგენდა (მაცაბერიძე, 2022ბ). ამასთან, როგორც სტატიაშია აღნიშნული, სწორედ ბათუმის ბოლო სხდომაზე გადაწყდა, რომ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით საქართველოს მაშინდელი მთავრობა ემიგრაციაში უნდა წასულიყო (მაცაბერიძე, 2022ბ).

თამარ ორჯონიკიძის სტატიაში (2022) კი, მიმოხილულია საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატებზე განხორციელებული საბჭოთა რეპრესიები, მათი ხასიათი და შედეგები. კერძოდ,

ნაშრომში განხილულია რეპრესიების პირველი ტალღა, რაც 1921 წელსვე დაიწყო. კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიგნება ისაა, რომ დაპატიმრებულებს შორის არ ყოფილან მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების წევრები. 29 დაპატიმრებულს შორის ასევე იყვნენ სომეხთა რევოლუციური პარტიის „დაშნაკცუთიუნის“ წევრი, სოციალ-ფედერალისტი და „ახალი სხივის“ წარმომადგენელი. ამასთან, ორჯონიკიძის (2022) შეფასებით თავდაპირველად რეპრესიები შედარებით შეზღუდული ხასიათის იყო, თუმცა მოგვიანებით ის დამფუძნებელი კრების ფაქტობრივად ყველა წევრს შეეხო (ორჯონიკიძე, 2022).

დასკვნა

მოცემული ნაშრომის მიზანს სამეცნიერო ჟურნალში „ქართული პარლამენტარიზმი“ გამოქვეყნებული სტატიების მიმოხილვა და თემატური პრიორიტეტების შესწავლა წარმოადგენს. 18 სტატიის ანალიზმა აჩვენა, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციების უმრავლესობა ეხება საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მასთან დაკავშირებულ თემებს. ასევე, სტატიების უდიდეს ნაწილში გამოყენებულია დოკუმენტების შესწავლის მეთოდი. ამ მხრივ, აღსანიშნავია იმდროინდელი პრესისა და სხდომის ჩანაწერების კონტენტ-ანალიზი. გამოქვეყნებული სტატიები წარმოადგენენ იმდროინდელი პოლიტიკური რეალობის კონსტრუირების კარგ საშუალებას, თუმცა, მათ უდიდეს ნაწილში სამეცნიერო/აკადემიური დისკუსია ნაკლებადაა გაშლილი. შესაბამისად, კრიტიკის მთავარი საგანი სწორედ აკადემიური ლიტერატურისა და შესაბამისი თეორიული ჩარჩოების სიმცირე შეიძლება იყოს. მოცემულ სტატია ორი სიახლითაა წარმოდგენილი. პირველი, შესწავლილია საკვანძო სიტყვების გამოყენების სიხშირე და მეორე, განსაზღვრულია „ქართულ პარლამენტარიზმში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციების თემატური პრიორიტეტები. ეს შეიძლება კარგ ნიადაგს ქმნიდეს შემდგომი ბიბლიოგრაფიული ანალიზისთვის.

ბიბლიოგრაფია

- Gogolishvili, O. (2023). Constituent Assembly on South-West Georgia. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*.
- Iakobashvili, I. (2020). Discussion of the Issue of Taking Credit from the Foreign Trade Bank of Britain in the Constituent Assembly of Georgia. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*(2).
- Janelidze, O. (2023). Factions of the Parliamentary Opposition in the Constituent Assembly of Georgia. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*.
- Manvelidze, I., & Phartenadze, G. (2023). Muslim Georgia Majlis and Constituent Assembly. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*.
- Matsaberidze, M., & Janelidze, O. (2020). The Consistuent Assembly of Georgia and Issues of Russian-Georgian Relations (April-May 1920). *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *1*(1).
- Matsaberidze, M. (2020). Definition of Authority of the Head of the Government in the 1921 Constitution of Georgia. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*(2).
- Matsaberidze, M. (2021). The Act of Independence of May 26, 1921– The Foundation of the 1921 Constitution of Georgia. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *3*(5).
- Matsaberidze, M. (2021). The 1921 in the History of the Georgian Constitutionalism. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *3*(5).
- Matsaberidze, M. (2022). The Final Sessions of the Constituent Assembly im Batumi. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*.
- Matsaberidze, M. (2023). The Constituent Assembly of Georgia and the Formation of the New Memory Politics. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*.
- Matsaberidze, M., & Orjonikidze, T. REPRESENTATIVES OF NATIONAL MINORITIES IN THE CONSTITUENT ASSEMBLY OF

GEORGIA (1919-1921) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921)

- Orjonikidze, T. (2020). Women in the Constituent Assembly of Georgia (1919-1921). *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*.
- Orjonikidze, T. (2023). The Deputies of the Constituent Assembly who Stayed in Georgia: The First Repressions. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*.
- Surguladze, P. (2023). Constituent Assembly of Georgia and the Paris Peace Conference. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*.
- Surguladze, P. (2020). The Birth of the Parliament of Democratic Republic of Georgia. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *1*(1).
- Tabatadze, S. (2022). Studying far right in Georgia: trends from academic literature. *Politics/პოლიტიკა*.
- Zedginidze, N. (2020). Elaborating the Parliamentary Code of Ethnic: The Experience of the Constituent Assembly of Georgia (1919-1921). *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*(2).
- Zedginidze, N. (2023). On the Incompatibility of Membership of the Constituent Assembly and Civil Servants and Immunity of Deputies. *ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism*, *4*.

Sandro Tabatadze

The Beginning of the Georgian Parliamentarianism: Bibliographycal Analysis

Abstract

The paper aims to review articles published in the journal "Georgian Parliamentarism" and identify those articles' thematic priorities. Such articles are essential as they try to summarize academic literature that makes fertile ground for further bibliographic analysis.